

(გ. ციცი): „თმაც ხევსურულად **სწორად** აქვს წაპრილი“ (რ. ინან.) და სხვ.

რაც შეეხება ზმნისართს **სწორედ**, ახალ და თანამედროვე ქართულში მან ერთგვარი დამხმარე სიტყვის ფუნქცია მიიღო — იხმარება მაშინ, როდესაც უნდათ წინადადების რომელიმე წევრის ან მთელი გამოთქმის გახაზვა, გამოყოფა — ეს და არა სხვა, ნამდვილად, მართლაც, ზუსტად. მაგალითად: „მე, **სწორედ**, ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, ისა ვარ“ (ილია); „მე კი არა, **სწორედ** შენო — ეწეწდით ერთი-მეორესა“ (აკაკი); „ზოგი თევის დასაჭერად შობოდა, ზოგსაც **სწორედ** იმ დროს უნდოდა ფიჩხი“ (მ. ჯავახ.); „მე **სწორედ** ის ვარ, ვისაც მოელის მოუთმენელად ტანჯული ერი“ (ქ. მაყ.) და ა. შ.

ამ ორი, საერთო წარმომავლობისა და მსგავსი ჯღერადობის მქონე ზმნისართის გამოყენებისას ახალ ქართულში ხშირად გვხვდება აღრევის შემთხვევები. კერძოდ:

ა) უნდა იყოს **სწორედ** და გვაქვს **სწორად**: „ჩვენს ბრძანებაზე ათასნი, ათი-ათასნი დადიან, რასაც ჩვენ ვიტყვით, ისინიც **სწორად** იმასა სჩადიან“ (ვაჟა); „იმედამ... როგორაც უთხრა, ჯავარა **სწორად** იმგვარად მოიქცა“ (ბაჩანა) და სხვ.

ბ) გაცილებით ხშირია პირუტყვ აღრევის შემთხვევები, როცა უნდა იყოს **სწორად** და გვაქვს **სწორედ**: „ჩონჩხის ძვლები რომ არ ყოფილიყო, ადამიანი ვერ შესძლებდა... **სწორედ** დგომასა“ (ი. ვოგბა); „ფიქრია ჯერ **სწორედ** იჯდა, მერმე ხელებზე დაებჯინა“ (მ. ჯავახ.); „საკმარისია კაცს შეგხედო, რომ **სწორედ** გითხრა რა ნივთიერებისგან შეწყებებული გახლავს იგი“ (ქ. მაყ.); „ახალგაზრდა მსახიობმა გვიჩვენა... სახის **სწორედ** გააზრების უნარი“ („ლიტ. საქ.“); „ამირანმა **სწორედ** ააგო ბრძოლის ტაქტიკა“ („კომ.“); „**სწორედ** მიგვაჩნია სხვადასხვა... სასწავლებლის ნაცვლად დაწესდეს ერთი ტიპი — საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი“ („თბილ.“)...

თანამედროვე სალიტერატურო ენაში ამგვარი აღრევა **სწორად** და **სწორედ** ზმნისართებისა დაუშვებელია. თითოეულ მათგანს მკაცრად აქვს გამოკვეთილი მოხმარების სფერო.

### ბ

**ტემაზი** ლათინური ენიდან მომდინარე სიტყვაა, ქართულში აღნიშნავს რაიმე მოვლენის მიმდინარეობის სისწრაფეს, რისაზე განხორციელების სისწრაფეს. **ტემაზი** შეიძლება იყოს ჩქარი, სწრაფი, ნელი, ზომიერი. ამ მსახდგრელებით განსაზღვრული ეს არსებითი სახელი ხშირად გვხვდება თანამედროვე სალიტერატურო (განსაკუთრებით

პრესის) ენაში: „ჩქარი ტემპით შენდება სამრეწველო საწარმოები“ („საქ. სახ. მეურნ.“); „თბილისელებმა არაჩვეულებრივი სწრაფი ტემპით დაიწყეს თამაში („კომ.“); „ნელი ტემპით ვითარდება აფხაზეთის ასსრ... კვების მრეწველობა“ („თბილ.“); „...ფასიანი მომსახურების სფეროს ზრდის სტაბილური ტემპის საფუძველზე გათვალისწინებულია... წარმოებდეს მოსახლეობის გაზრდილი ფულადი შემოსავლია მატერიალიზაცია“ („თბილ.“)...

რამე მოვლენის მიმდინარეობის სისწრაფე, რისამე განხორციელების სისწრაფე ანუ ტემპი შეიძლება დაჩქარდეს ან შენელდეს. ამიტომ სწორია ქვემოთ გამოყოფილი შესიტყვებებიც: „დაჩქარებული ტემპით ვითარდება ლენინის რაიონის ინდუსტრია“ („თბილ.“); „დააჩქარონ შრომის ნაყოფიერების გადიდების ტემპი“ („კომ.“); „არჩევნებისათვის მზადებამ არ უნდა შეანელოს მანქანათმშენებელთა მუშაობის ტემპი“ („თბილ.“) და სხვ.

მაგრამ არცთუ იშვიათად ბოლო დროს არსებით სახელთან ტემპი მსაზღვრელებად გამოიყენება მისთვის სემანტიკურად სრულიად შეუსაბამო ზედსართავენი: მაღალი, უმაღლესი, უპირატესი, დაბალი. ამ გზით მიღებული შესიტყვებები თანამედროვე ქართული სწორმეტყველების თვალსაზრისით მიუღებელ შესიტყვებებად უნდა შეფასდეს. ამდენად არ არის სწორი: „სულ უფრო მაღალი [უნდა იყოს: ჩქარი] ტემპით მიმდინარეობს აფხაზეთში ციტრუსების ახალი პლანტაციების გაშენება“ („საქ. სახ. მეურნ.“); „მეორე ტაიში დინამოელებმა მაღალი [უნდა იყოს: ჩქარი] ტემპი განავითარეს“ („კომ.“); „შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობა საკმაოდ სოლიდურია და მოითხოვს სტაბილურად მაღალ [უნდა იყოს: ჩქარ] ტემპს, გამართულ რიტმს“ („თბილ.“); „წელიწადის დარჩენილ დღეებს — უმაღლესი [უნდა იყოს: ჩქარი, სწრაფი, ან: უსწრაფესი] ტემპი და შეუფერხებელი რიტმი“ („თბილ.“ — სათ.); „მანქანათმშენებლობის სხვა დარგებთან შედარებით უპირატესი [აღბათ ნაგულისხმევია: უფრო ჩქარი] ტემპით ვითარდება ჩემოსლოვაკიის ელექტროტექნიკური მრეწველობა“ („კომ.“); „მანქანათმშენებლობის შედარებით დაბალი [უნდა იყოს: ნელი] ტემპით ზრდის პირობებში უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების მაღალი დონე“ („საქ. სახ. მეურ.“) ... კიდევ უფრო უხერხული და შეუსაბამო განსაზღვრებაა აღნიშნული სახელისათვის გაქანებული: „სოფელში შესვლისთანავე თვალში გეცემათ ახალმშენებლობათა გაქანებული [აღბათ იგულისხმება: მეტისმეტად ჩქარი ან აჩქარებული] ტემპი“ („კომ.“)...

**ტექნიკა.** სახელი ტექნიკა (ბერძნ. techne-დან — ხელოვნება, ოსტატობა), ჩვეულებრივ, აღნიშნავს: საწარმოო საშუალებათა ერ-

თობლიობას, რომლებიც გამოიყენება და ვითარდება საზოგადოებრივი წარმოების დროს; 2. მანქანების, მექანიკურ მოწყობილობათა, იარაღების ერთობლიობას; 3. დახელოვნებას რაიმე საქმეში, ოსტატობას.

თანამედროვე ქართულში ეს სიტყვა, სულ უფრო ხშირად იხმარება მეორე მნიშვნელობით, ე. ი. მანქანების, მექანიკურ მოწყობილობათა და იარაღების ერთობლიობის აღსანიშნავად: „პრაქტიკაში იხერგება ახალი, რთული ტექნიკა“ („ლელო“); „მოხდა მოზარდთა სამედიცინო შემოწმება და უსაფრთხოების ტექნიკის შესწავლა“ („ს.გ. და ცხოვრ.“); „საგაზაფხულო ხენა-თესვას შევახვედროთ ახალი ტექნიკა“ („კომ.“); „მინდერებსა და პლანტაციებში ტექნიკამ თავისი ადგილი დაიკავა“ („სოფლ. ცხოვ.“); „საქმეში ჩაერთა ტექნიკა“ („ლელო“) და სხვ.

მაგრამ ზოგჯერ სიტყვა ტექნიკის ეს მნიშვნელობა დაეიწროებულია, როცა იგი გამოიყენება ერთი სახის (მაგალითად, მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო) მანქანა-იარაღების აღსანიშნავად: „სათესლე მასალა მომზადებულია, არემონტებენ ტექნიკას“ („ახ. კომ.“); „კოლმეურნეები რემონტს უკეთებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას“ („კომ.“) და მისთ.

ძირითადი მნიშვნელობიდან მეტი გადახრა გვაქვს მაშინ, როცა სიტყვა ტექნიკა გამოიყენება ერთი ან თუნდაც რამდენიმე ერთი ტიპის მანქანის აღსანიშნავად: „აქვე ნახავთ ტრაქტორს, რომელიც ტალახშია ჩაფლული. ასეთი მძლავრი ტექნიკა ასე უპატრონოდ ფუჭდება“ („კომ.“); „მრეწველობა ერთ წელიწადში სრულელს მიაწოდებს 312 ათასზე მეტ ტრაქტორს, 155 ათასზე მეტ სატვირთო ავტომობილსა და ბევრ სხვა ტექნიკას“ („განთ“); „უკვე მწყობრში ჩაყენა 3 ავტომანქანა, 6 ტრაქტორი და სხვა ტექნიკა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „სამწუხაროდ, ტექნიკა ღია ციხეში არის მოთავსებული. კოლმეურნეობა მიმდინარე წელს ითვალისწინებს აავოს ტექნიკის მოსათავსებელი სპეციალური შენობა“ („კომ. დრ.“) და სხვ.

ტექნიკა სიტყვის ასეთი ხშირი გამოყენება კონკრეტული საგნების აღსანიშნავად შეიძლება აიხსნას მეტყველების ეკონომიის, სიმოკლის სურვილით, მაგრამ სალიტერატურო ენის თვალსაზრისით მისი გამართლება არ შეიძლება.

ტექნიკა უფრო ზოგადი და ფართო მნიშვნელობის მქონე სახელია. მისი მნიშვნელობის დაეიწროების შედეგია ამ სიტყვის ხმარება შემდეგ სახელურ თუ ზმნურ შესიტყვეებებში: ბევრი ტექნიკა მიიღო, სხვა ტექნიკა, ტექნიკა მიუშაობს, ტექნიკა ფუჭდება, ტექნიკას მართავენ, ტექნიკას მიუსხდნენ, ტექნიკის რემონტი, ტექნიკის შეკეთება და სხვ. მაგალითად: „რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ წლის მანძილ-

ზე საკმაოდ ბევრი ტექნიკა მიიღო“ („სოფლ. ცხოვრ.“); „გაერთიანება ამ დღეებში დიდძალ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას იღებს“ („კომ.“); „მრეწველობა გამოუშვებს... ბევრ სხვა ტექნიკას“ („განთ.“); „თოვლისაგან ქუჩების გასაწმენდად დღე და ღამ მუშაობს ტექნიკა“ („კომ.“); „მიღალი წარმადობით მუშაობს ტექნიკა მზრალის ხენახე“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ბევრ მეურნეობაში ტექნიკა მთელ დღეს მუშაობს“ („ივრ. განთ.“); „სწორედ ისინი უნდა მიუხსდნენ იმ უახლეს და ურთულეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, რომელსაც დიდი რაოდენობით უშვებს ჩვენი მრეწველობა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „არემონტებენ ტექნიკას“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ტექნიკის რემონტი ტარდება ბრიგადის წევრების უშუალო მონაწილეობით“ („ახ. კომ.“); „კოლმეურნეობაში რემონტს უკეთებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას“ („კომ.“); „მკურნალობენ ტექნიკას“ („გამარჯვ. გზით“); „წელს ჩვენს რესპუბლიკაში ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეკეთება უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს, ვიდრე გასულ წელს“ („კომ.“); „ვადაზე ადრე დაამთავრეს ტექნიკის შეკეთება“ („სოფლ. ცხოვრ.“); „შეკეთეს ტექნიკა... შეკეთებულა ტექნიკა...“ („სოფლ. ცხოვრ.“) და სხვ. მრ.

თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის თვალსაზრისით გაუმართლებელია ტექნიკა სიტყვის ასეთი დამახინჯებული მნიშვნელობით გამოყენება. დასაშვებად შეიძლება ჩაითვალოს ამ სიტყვის გამოყენება ერთი სახის მექანიკურ მოწყობილობათა ერთობლიობის აღსანიშნავად. მაგ.: საყოფაცხოვრებო ტექნიკა, საოჯახო ტექნიკა, საწარმოო ტექნიკა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. დაუშვებელია მისი გამოყენება ერთი მანქანის ან მოწყობილობის აღსანიშნავად, — როგორი რთულიც არ უნდა იყოს ეს მანქანა.

ტექნიკა სიტყვის გამოყენებასთან დაკავშირებით შეინიშნება კიდევ სხვა სახის დარღვევაც: ზოგჯერ იგი ირევა სიტყვა ტექნოლოგიაში. იმავე ბერძნული techne-დან ნაწარმოები სიტყვა ტექნოლოგია (< techne + logos) აღნიშნავს მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის ნედლი მასალის მზა ნაწარმად გადაქცევის მეთოდებსა და საშუალებებს (მატყლის ტექნოლოგია, ხის ტექნოლოგია, ჩაის ტექნოლოგია, და ა. შ.), აგრეთვე, ასეთი გადაქცევის პროცესებს. თანამედროვე ქართულში ტექნიკის ნაცვლად ზოგჯერ უხმარიათ ტექნოლოგია: „უკვე უახლოეს დროს უნდა განვაახლოთ ტექნოლოგია [უნდა იყოს: ტექნიკა], დავღვათ დამატებითი მოწყობილობა...“ („თბილ.“); „საუბარში გამოირკვა, რომ თეატრის რეკონსტრუქცია კიდევ იმ ფაქტორმა განსაზღვრა, რომ მოძველებული იყო სასცენო ტექნოლოგია [უნდა

იყოს: ტექნიკა]“ („კომ.“); შდრ. იქვე: „სცენის ტექნოლოგიის [უნდა იყოს: ტექნიკის] სრულყოფის მიზნით კეთდება ახალი საორკესტრო-ამწე“. ამგვარი აღრევაც იმის მანქნებელია, რომ სიტყვა ტექნიკა-შორდება თავის ძირითად, პირვანდელ მნიშვნელობას, რასაც სალიტერატურო ქართულმა გზა უნდა გადაუღობოს.

**ტოლს არ (და)უღებს** — ეს გამოთქმა, რომელსაც ოდესღაც კონკრეტული სამეურნეო საქმიანობის დროს იყენებდა ქართველი კაცი (დაწვრ. იხ. „ქართ. ხატ.“), დღეს ენაში ფიგურალურ გამოთქმად არის ქცეული და მხოლოდ ცალსახა მნიშვნელობა აქვს: **არ ჩამორჩება, არ ჩამოუვარდება**. ერთგვარი არქაული იერის მიუხედავად, აღნიშნული გამოთქმა საკმაოდ აქტიურად და უმეტესად სწორად მოიხმარება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: „დოცენტებსა და კანდიდატებს კი ბოდიშს მოვუხსნი; ბევრი მათგანი, ჩვენი აზრით, ბარე ორ, უფრო მაღალი ცენზის მკვლევარს არ დაუღებს ტოლს“ („სკ. და ცხოვრ.“). ამ წინადადებაში ნაგულისხმევი აზრი სხვა სიტყვებით ასე გადმოიცემოდა: ბევრი მათგანი არ ჩამორჩება... სხვა შინაარსით ამ ფრაზეოლოგიზმის გამოყენება უმეტესად აზრობრივი და სტილისტიკური შეცდომის საფუძველი ხდება. მაგრამ იმის გამო, რომ მთლიანად გამოთქმა ენის დღევანდელი მოიხმარებისათვის სემანტიკურად სავსებით ნათელი და „გამჭვირვალე“ არ არის, გვხვდება მისი არასწორად მოხმარების ნაირ-ნაირი შემთხვევები:

„...შეჯიბრების მონაწილე ერთადერთმა ქალმა — მაია ჩიბურდანიძემ თერთმეტ დიდოსტატსა და ოსტატ ვაჟს ტოლი არ დაუღო და თერთმეტივეს გაუსწრო. ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი“ („კომ.“). ამ წინადადებაში აზრობრივ შეუსაბამობას იწვევს: **ტოლი არ დაუღო და... გაუსწრო**. უნდა ეთქვათ: ...ოსტატ ვაჟს არათუ ტოლი არ დაუღო, არამედ თერთმეტივეს გაუსწრო, ან: ...არათუ არ ჩამორჩა, არამედ ... გაუსწრო, ან: ჯერ ტოლი არ დაუღო და შემდეგ კიდევაც გაუსწრო და ა. შ.

„ნ. მოღებამდეს ფინალურ ასპარეზობაშიც ვერავენ დაუღო ტოლი“ („კომ.“). სტატიიდან ჩანს, რომ [ნ. მ.] ფინალურ ასპარეზობამდე გამარჯვებული გამოვიდა ქვეჯგუფშიც. ავტორს უნდა თქვას, რომ სპორტსმენს ვერც ფინალურ ასპარეზობაში გაუტოლდა ვინმე, მან ყველას აჯობა, მას ყველა ჩამორჩა... მყარი შესიტყვების უმართებულო მოხმარების გამო კი გამოითქვა სწორედ საწინააღმდეგო აზრი: [ნ. მ.]-ს არა-ვენ ჩამორჩენია, ყველამ გაუსწორო.

„საფინანსო თუ საუნივერსიტეტო ცოდნით გამორჩეულებს სასცენო სარბიელზე ზოგჯერ ტოლს უღებდნენ შინაური განათლების წიაღიდან მოსული ოსტატებიც“ („კომ.“). ამ წინადადების ბოლო სი-



ტყვის -ც ნაწილაკი ამჟღავნებს ავტორის სურვილს თქვას, რომ ... ოს-ტატები არ ჩამორჩებოდნენ, უტოლდებოდნენ ... გამორჩეულებს. ამიტომ უნდა ეხმარა სწორედ **ტოლს არ უდებდნენ**.

ამ წინადადებებში სხვა რიგის უმართებულობებიცაა: ქართული სწორმეტყველება დღესდღეობით ერთადერთ სწორ ვარიანტად მიიჩნევის გამოთქმებს: **ტოლს არ უდებს (დაუდებს), ტოლი არ დაუდო...** არ არის სწორი არც **ვერავენ დაუდო ტოლი** და არც **ტოლს უდებდნენ**-მით უმეტეს, შეცდომაა **ტოლს არ უგდებს**: „ეს ფილმი ჩემთვის ძვირფასია იმისათვის, რომ იგი **ტოლს არ უგდებს** [უნდა იყოს: **ტოლს არ უდებს**] ჩემს რომანს“ („ახ. კომ.“).

ამგვარი მყარი გამოთქმების ფორმობრივ ცვლას ან გამოთქმის ერთ-ერთი წევრის სხვა სიტყვით შეცვლას სალიტერატურო ენა ვერ გაამართლებს.

**ტრადიცია** არის ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობაზე გადაცემული ადათები, წესები, ყოფაქცევის ნორმები; **ტრადიციული** — ძველთაგან დადგენილი. რადგან ტრადიციაა ის, რაც საუკუნეების განმავლობაში მრავალგზის გამეორების საფუძველზე ამა თუ იმ ხალხის ჩვევად, წესად იქცა, ამიტომ ის, რასაც ამჟამად ახლანდელი თაობის თვალწინ ეყრება ან, მით უმეტეს, მომავალში ჩაეყრება საფუძველი, ტრადიციული ვერ იქნება. ის მომავალში, ხანგრძლივი დროის ვასგლის შემდეგ, შეიძლება იქცეს ან არ იქცეს ტრადიციად. გამოთქმა — **ახალი ტრადიცია დამკვიდრდა** — სიტყვა ტრადიციის მნიშვნელობის გაუთვალისწინებლობის შედეგად გაჩნდა უკანასკნელი ხანების პრესაში. მაგ.: „**ახალი ტრადიცია**, რომელიც უნდა **დავამკვიდროთ**, მოგვეცემს საშუალებას მოვალეობის წმიდათაწმიდა გრძნობაში შევეჭიბროთ ერთმანეთს“ („სოფლ. ცხოვრ.“); „წინანდლის სახალხო უნივერსიტეტის ინიციატივით აღექსანდრე ჭავჭავაძის სახლმუზეუმში **ახალ ტრადიციას** — ლიტერატურულ სალონს **ჩაეყარა საფუძველი**“ („კომ.“); „ჩვენს რესპუბლიკაში ბოლო წლებში ბევრი ჭეშმარიტად-ხალხური **ახალი ტრადიცია დამკვიდრდა**“ („სოფლ. ცხოვრ.“); „**გაიჭრა ახლად დამკვიდრებული ტრადიციის ბალავარი**“ („თბილ.“); „ჩვენს დღევანდელობაში მათ **ახალი ტრადიციები**, დღევანდელობის სუნთქვით გამოთბარი მშვენიერი დღესასწაულები დაუპირისპირდა“ („სოფლ. ცხოვრ.“).

**ახალი ტრადიცია დამკვიდრდა** (ან **ტრადიცია დამკვიდრდა**) უმართებულო სიტყვათშეხამებაა. ვისიმე მოსახსენებელი დღის შემოღების ან რამე ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავი დღესასწაულის შესახებ შეიძლება ვიხმაროთ გამოთქმები: **დადგინდა // დაწესდა // დამკვი-**

დრდა ვისივე ან რისამე მოსახსენებელი, მოსაგონარი დღე, ვისივე ხსოვნის დღე, რისამე აღსანიშნავი დღე, ახალი დღესასწაული და ა. შ.

**ტრანსპორტში / ტრანსპორტზე.** ტრანსპორტი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება: 1. ფართო მნიშვნელობით ეს არის სახალხო მეურნეობის დარგი, რომელიც დაკავშირებულია ტვირთის გადაზიდვასთან და ხალხის გადაყვანასთან ერთი ადგილიდან მეორეზე; გადასაზიდ, გადასაყვან საშუალებათა ესა თუ ის სახე: საავტომობილო ტრანსპორტი, რკინიგზის ტრანსპორტი, მიწისქვეშა ტრანსპორტი (მეტრო), საჰაბანო ტრანსპორტი, ქალაქის ტრანსპორტი.

**ტრანსპორტი**, როგორც სახალხო მეურნეობის დარგის, გადასაზიდ საშუალებათა სახეობის აღმნიშვნელი სიტყვა, სათანადო კონტექსტებში -ზე თანდებულებანი იქნება: „ეს ბრძოლა, ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში, უნდა წარმოებდეს ფართო ფრონტით — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე... წარმოებასა და შრომის ყველა რგოლში“ („ლელო“); „საქალაქო საბჭოს აღმასკომის დახმარებით... ბევრი სასჯელმოხდელი გაგზავნეს სამუშაოდ საწარმოებში, ტრანსპორტზე, მშენებლობებზე“ („კომ.“); „მკაცრი წესრიგი ტრანსპორტზე!“ („თბილ.“ — სათ.); „საავტომობილო ტრანსპორტზე უნდა დამყარდეს სახელმწიფო დისციპლინა“ („კომ.“).

2. ტრანსპორტი ვიწრო, კონკრეტული მნიშვნელობით, ქალაქის გადასაყვან საშუალებათა გამიერთიანებელი ზოგადი სახელია და ხშირად იმავე კონტექსტებში იღებს მონაწილეობას, რომლებშიც ბუნებრივ შესიტყვებებს ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი ქმნის: აღის, შედის, ზის, ნაცნობს ზვდება... ავტობუსში, ტროლეიბუსში, ტრამვაიში — ტრანსპორტში.

დასახელებულ ზმნებთან ტრანსპორტი და მისი სემანტიკური წრის სახელები (ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი, ასევე: მატარებელი, მატარებლის ვაგონი) მხოლოდ -ში თანდებულებანი ფორმით ქმნიან შრომებულ შესიტყვებებს. მაგ.: „დასვენების დღე იყო და ტრანსპორტში ზალვათობა იგრძნობოდა“ („თბილ.“); „საქალაქო ტრანსპორტშიც ხშირად მისდება შენიშვნების მიცემა ზოგიერთი თავხედი მწვეგლისათვის“ („კომ.“); „საზოგადოებრივ ტრანსპორტში შეხვედით, ადგილი არ არის“ („თბილ.“); „ავტობუსში ახალგაზრდები ამოვიდნენ“ („სოფლ. ცხოვრ.“); „...იჭდა ტრამვაიში და მიხესუმიხრას აკნატუნებდა“ („თბილ.“); „ამ შთაბეჭდილებით ავედით ჩვენთვის განკუთვნილ ლოკომოტივის ვაგონში“ („თბილ.“).

-ზე თანდებულებანი ტრანსპორტზე, ავტობუსზე, ტრამვაიზე, ტროლეიბუსზე, ვაგონზე ავიდა და მისთ. სალიტერატურო ენის ნორმათაგან გადახრად უნდა იქნეს მიჩნეული. მაგ.: „...აღლენ ტრანსპორტზე

[უნდა იყოს: ტრანსპორტში] თუ არა, გაფაციცებით იწყებენ ადგილის ძებნას“ („თბილ.“); „ავა ტრანსპორტზე [უნდა იყოს: ტრანსპორტში] რომელიმე ვაებატონი, თავისუფალ ადგილსაც მონახავს და მამაპაპურად გაიმოტება“ („თბილ.“); „ასეთ ვითარებაში მგზავრი ვერც კი გაბედავს ავიდეს ტრანსპორტზე [უნდა იყოს: ტრანსპორტში]“ („თბილ.“); „...№ 11 ავტობუსზე [უნდა იყოს: ავტობუსში] ავედი. ბევრი ხალხი და აუტანელი სივიწროვე იყო“ („თბილ.“); „ბაქანი მხოლოდ სამ ვაგონს სწვდება და დანარჩენ ვაგონებზე [უნდა იყოს: ვაგონებში] ასკლა გაძნელებულია“ („სოფლ. ცხოვრ.“); „კონტროლიორს იშვიათად ნახავთ ტრამვაიზე, ავტობუსზე, ტროლეიბუსზე [უნდა იყოს: ტრამვაიში, ავტობუსში, ტროლეიბუსში]“ („თბილ.“).

-ზე თანდებულისანი ფორმის გამოყენებას გარკვეულწილად ტრანსპორტის თემატური წრის სახელებთან ხშირად სახმარი ადის ზმნის სემანტიკა განაპირობებს, თუმცა აქ ადის უფრო ტრანსპორტში ჩაჯდომას და მგზავრობას ნიშნავს და არა მხოლოდ ასვლას — ქვევიდან ზევით სელის (მდრ. ავრ. ამ თვალსაზრისით კიბეზე ავიდა, მაგრამ; კომ. კში ავიდა, სათვალთვალო ჭიხურში ავიდა).

-ზე თანდებულისანი სახელი ადის ზმნასთან (ავტობუსზე, ტროლეიბუსზე, ტრამვაიზე, ვაგონზე ავიდა) მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მართებული, თუ ვინმე ავტობუსს, ტრამვაის, ტროლეიბუსს, ვაგონს მაღლა, სასურავზე, თავზე მოექცევა (შესაკეთებლად, შესაღებავად...).

3. ენაში ისეთი შემთხვევებიც შეინიშნება, როცა თანდებულისანი ფორმა საერთოდ შეუფერებელია კონტექსტისათვის. მაგ.: „ვინ არღვევს წესრიგს ტრანსპორტზე? როგორც დაკვირვებამ და საგზაო შემთხვევების ანალიზმა ცხადყო, უწინარეს ყოვლისა ბახუსის მოყვარული, ზედმეტი სიჩქარით მანქანის მართვის მოტრფილად მძღოლი“ („კომ.“). კონტექსტის მიხედვით კითხვა ასე უნდა დასმულიყო: ვინ არღვევს ტრანსპორტის მართვის წესებს? ან: ვინ არღვევა ქუჩაში მოძრაობის წესებს?

4. ზოგჯერ ტრანსპორტ- ფუძის მნიშვნელობას ავიწროებენ და მას მანქანის სინონიმად ხმარობენ, რაც არ არის მართებული. მაგ.: „ბოროტმოქმედმა ქუჩაში გაჩერებული მანქანა გაიტაცა“. შოფერი აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ტრანსპორტი [უნდა იყოს: მანქანა] არ ჩანდა. ამ დროს კი მოპარული მანქანით დედაქალაქის ქუჩებში დასეირნობდა ნ. კურტანიძე“ („თბილ.“).

**ტრიზუნა** იხ. ამბიონი.

**ტურნირი... პრიზმა.** ივარაუდება ისეთი შესიტყვებები, რომლებშიც ტურნირი, შეჯიბრება, პირველობა ვისიმე სახელობის თუ რო-



მელიმე ორგანიზაციის მიერ დაწესებული პრიზის გათამაშებას ეძღვნება. პრიზი ამ შესიტყვეებაში, სათანადო რუსული შესიტყვეებების შესაგავსად, -ზე თანდებულებიანია: „10 იანვარს... გაიმართება III საკავშირო ტურნირი მინი-ფეხბურთში გაზეთ „იზვესტიას“ ყოველკვირეული დამატების „ნედელიას“ პრიზზე“ („სოფლ. ცხოვრ.“); „თბილისის საცურაო აუზში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე გამართული საკავშირო ტურნირის ბოლოს დღეს კვლავ წარმატებით გამოვიდა ჩვენი დედაქალაქის კიდევ ერთი წარმომადგენელი“ („კომ.“); „საქართველოს სპორტკომიტეტის საფარიკაო დარბაზში დამთავრდა მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრება გამოცემა „მართვეს“ პრიზზე“ („ლელო“); „გაგრაში დამთავრდა ჭაბუკთა საკავშირო ტურნირი ფეხბურთში სპორტის დამსახურებული ოსტატის შოთა იამანიძის პრიზზე“ („კომ.“).

ტურნირი პრიზზე ქართულისათვის არაბუნებრივი შესიტყვეებაა. მის გვერდით ენაში ბუნებრივი პრიზის გათამაშების ტურნირიც გვხვდება (შდრ. თასის მფლობელთა თასის გათამაშების ტურნირი); შეიძლება რთული ქვეყნობილი წინადადების გამოყენებაც: ტურნირი, რომელიც... პრიზის გათამაშებას მიეძღვნა. სწორედ ამ უკანასკნელთ უნდა მივანიჭოთ უპირატესობა -ზე თანდებულებიან კონსტრუქციებთან შედარებით. ამის მიხედვით ზემოთ წარმოდგენილი მაგალითები ასე გასწორდება: გაიმართება გაზეთ „იზვესტიას“ ყოველკვირეული დამატების „ნედელიას“ პრიზის გათამაშების III საკავშირო ტურნირი მინი-ფეხბურთში; თბილისის საცურაო აუზში გამართულ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზის გათამაშების საკავშირო ტურნირის ბოლო დღეს...; საქართველოს სპორტკომიტეტის საფარიკაო დარბაზში დამთავრდა მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრება, რომელიც გამოცემა „მართვეს“ პრიზის გათამაშებას მიეძღვნა; გაგრაში დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი, რომელიც სპორტის დამსახურებული ოსტატის შოთა იამანიძის პრიზის გათამაშებას მიეძღვნა.

**ტურში პარტია.** საკითხი ეხება სპორტული თემატიკის კორესპონდენციებში მოხსიერებულ თანდებულებიან კონსტრუქციებს: ტურში გაიმართა პარტია, ტურნირში გათამაშდა ტური, ტურში დამთავრდა შეხვედრა და მისთ.: „აქ მიმდინარე მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის მეათე ტურში ხუთი პარტია ყაიმიით დამთავრდა“ („კომ.“); „თბილისის ვაჟთა პირველობაში დღეს დასკვნითი, XVII ტური გაიმართება“ („ლელო“); „...ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში კიდევ სამი ... ტური გათამაშდა“ („ლელო“); „ქართველმა მოჭადრაკემ ბოლო ტურში ყაიმიით დაამთავრა შეხვედრა“ („ლელო“); „თბილისის ჭადრაკის სასახლეში ვ. გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო

**ტურნირში** გაიმართა დასკვნითი, XV **ტურის** შეხვედრები“ („ლელო“); „შესარჩევ ქვეჯგუფში უკანასკნელ შეხვედრაში ქართველი კალათბურთელები დამარცხდნენ ესტონელებთან“ („კომ.“).

**ტურნირი, ტური, მატჩი, პირველობა, პარტია** ერთმანეთთან გარკვეულ მიმართებაში შყოფი ცნებებია. საჭადრაკო ტურნირი, მაგალითად, ტურებად იყოფა, ტური — პარტიებად (ტური სპორტული შეჯიბრების ერთი ნაწილია; პარტია — ერთი ხელი თამაში). ცალკეული პარტიებისაგან შედგება საჭადრაკო მატჩი, რომლის დროსაც ორი სპორტსმენი იბრძვის ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად; ტურებად და ცალკეულ შეხვედრა-მატჩებად იყოფა საფეხბურთო ჩემპიონატი და სხვ. თანდებულებიან ფორმათა უთანდებულო ნათესაობით შეცვლა ვიწრო მნიშვნელობის მქონე ტერმინთა მსხვილ ერთეულებში ბუნებრივი გაერთიანებობა და სასურველი შინაარსის ქართულისათვის დამახასიათებელი კონსტრუქციით გადმოცემის შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, ასე: გაიმართა **მატჩის, ტურის, ტურნირის** პარტია, **პირველობის** ტური, **ქვეჯგუფის** შეხვედრა... შდრ. ასეთი გამოთქმები: გაიმართა **წარმოდგენის** პირველი ნაწილი, დამთავრდა **სპექტაკლის** მეორე მოქმედება, დასასრულს უახლოვდება საეღვე **სამუშაოების** პირველი ეტაპი და მისთ.

ამის მიხედვით, ზემოთ წარმოდგენილი კონტექსტები ასე უნდა გასწორდეს: ყაიმიტ დამთავრდა აქ მიმდინარე მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის მეათე ტურის ხუთი პარტია (და არა: ტურში პარტია); დღეს გაიმართება თბილისის ეაყთა პირველობის დასკვნითი, XVII ტური (და არა: პირველობაში ტური); გათამაშდა ეაყთა საერთაშორისო ტურნირის კიდევ სამი ტური (და არა: ტურნირში ტური); ქართველმა მოჭადრაკემ ყაიმიტ დაამთავრა ბოლო ტურის შეხვედრა (და არა: ტურში შეხვედრა); თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა ვ. გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირის დასკვნითი, XV ტურის შეხვედრები (და არა: ტურნირში ტურის); შესარჩევი ქვეჯგუფის უკანასკნელ შეხვედრაში (და არა: ქვეჯგუფში შეხვედრაში) ქართველი კალათბურთელები დამარცხეს ესტონელებმა.

შდრ. სწორად ხმარების შემთხვევები: „გაიმართა „ა“ კლასის მეორე ლიგის... გუნდების ოცდაპეუთოთხმეტე ტურის მატჩები“ („კომ.“); „გაიმართა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ორი მატჩი“ („კომ.“); „...ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის გადადებული პარტიების დამთავრებისას ბრონშტეინმა მოუგო რომანიშინს“ („კომ.“).

**ტაშუპი** ძველი ქართულიდან მომდინარე სიტყვაა. მისი თავდაპირველი ფორმაა **ტაშუბი**, რომელსაც საბა ასე განმარტავს: „უკეთუ

იყვნენ ყრმა ორნი მუცელსა შინა, ეწოდების **მარჩბივი**; ხოლო პირუ-  
ტყვითა ორთა მისთანათა ორთავ ერთსა ზუღესა შინა ეწოდების **ტყუ-  
ბი**; ხოლო ხილთა და ხმელთა ორთა შეერთებულთა ეწოდების **ტყუბი**“  
(საბა).

1. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი **ტყუბის** სინონიმად იძლევა  
**წყვილ-სიტყვას**, რაც იმას ნიშნავს, რომ **ტყუბში** წაგულისხმევია მხო-  
ლოდ და მხოლოდ ორი არსება (ერთი წყვილი), ამქვეყნად ერთდრო-  
ულად მოეღენილი. მოცემული მნიშვნელობით **ტყუბ-სიტყვის** გამო-  
ყენებას საკმაოდ ხანგრძლივი და მტკიცე ტრადიცია აქვს და ამ გაგე-  
ბით იგი ახლაც ეხმარება როგორც ქართულ მწერლობაში, ისე პრე-  
საში. მაგ.: „ორმა დედამ სამ-სამჯერ დაბადა **ტყუბი**, შვიდმა დედამ —  
ორ-ორჯერ“ („კომ.“); „რამდენი შვილი გყავს, ქალო?... მენა,  
ორი, — **ტყუბები**? — **ტყუბები**“ (ჯ. გამსახ.); „— გვაცნობს თავის  
შვილებს გურამი, ესენი — ბორისი და ლელა **ტყუბები** არიან“ („დრო-  
შა“); „— **ტყუბებია**, პატივცემულო კორაელი, ვოგო და ბიჭი...“  
(„სამშ.“); „მინდა კიდევ ერთი ასეთი ამბავი გაეხსენო: ერთმა ქალმა  
**ტყუბები** — ორი უმწეო შვილი მიატოვა“ („თბილ.“); „მსოფლიო  
ჩემპიონატის ისტორიაში პირველად ერთი გუნდის შემადგენლობაში  
მინდორზე გამოვიდნენ **ტყუბები** — ...რენე და ვილი ვან დე კერკო-  
ფები“ („კომ.“).

მაგრამ დროთა განმავლობაში **ტყუბ-სიტყვამ** გაიფართოვა მნი-  
შვნელობა და მის დაეკისრა ამქვეყნად ერთდროულად მოეღენილთა,  
ერთი დედისაგან თანადროულად გაჩენილთა კრებითად აღნიშვნა, —  
შიუხედავად მათი რაოდენობისა. ამიტომ საჭირო გახდა კრებითი ში-  
ნაარსის დაკონკრეტება აღსანიშნის ზუსტი რაოდენობის ხეყებით  
ასე იქნა მიღებული შესიტყვებები: **სამი ტყუბი**, **ოთხი ტყუბი** და ა. შ.  
ამიტომეც დასაშვებად იქნა მიჩნეული ისეთ შესიტყვებათა ხმარების  
პრაქტიკა, როგორცაა **ორი ტყუბი**, რომელიც ტრადიციული მნიშვნე-  
ლობის გათვალისწინებით ტავტოლოგიურად უნდა შეფასებულყო-  
შდრ.: ბლოკადის უძძიმეს დღეებში დედამ **ორი ტყუბი** შვილი გამო-  
უსტუმრებია კაკესისაში...“ („თბილ.“); „...იყო და არა იყო რა, იყო  
**ორი ტყუბი** ძმა...“ („ეკრ. ამბ.“).

2. **ტყუბ-სიტყვისაგან** ნაწარმოებია რთული სიტყვა **ტყუბისცა-  
ლი**, რომლის მეორე კომპონენტი **ცალი** ტრადიციულად ორიდან, წყვი-  
ლიდან ერთს აღნიშნავს. შდრ.: **ცალი ხელი** (ცალხელი), **ცალი თვალი**  
(ცალთვალი), **ცალი ფეხი** (ცალფეხი) და მისთ. მაშასადამე, კომპოზი-  
ცი **ტყუბისცალიც** იმ დროის წარმონაქმნია, როცა **ტყუბი** მხოლოდ  
**წყვილად** გაიგებოდა. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ **ტყუბ-სი-  
ტყვამ** დაკარგა **წყვილის** მნიშვნელობა და აღსანიშნის რაოდენობის

დასაზუსტებლად რიცხვითი სახელი მოიშველია, ერთმანეთში აირია სიტყვები **ტყუბი** და **ტყუბისცალი**.

შდრ., ერთი მხრივ: „...როცა საათის ისრები თორმეტს უახლოვდებოდა, მისმა მეუღლემ...სამი **ტყუბი** დაბადა („კომ.“); „— მაგან მიმკითხავა... რომ ჩემი ცოლი გამიჩენს **სამ ტყუბს**“ (გ. შალამბ., თარგმ.) და მეორე მხრივ: 28 წლის მასწავლებელს... ექვსი **ტყუბის ცალი შეეძინა** — ოთხი ბიჭი და ორი გოგო“ („კომ.“); „იტალიის გაზეტები... იხსენებენ: 1971 წელს ავსტრალიაში **ცხრა ტყუბის ცალი** დაიბადა, ხოლო შარშან ნეაპოლში — **რვა**“ („კომ.“); „...პირველად დაიბადა **ოთხი ტყუბისცალი** — ორი ბიჭი და ორი გოგო“ („კომ.“).

ორავე შემთხვევაში ერთდროულად გაჩენილთა საერთო რაოდენობა ივარაუდება. ბუნებრივია, კრებითი და კონკრეტული შინაარსის მქონე ცნებების აღრევა აზრის გაბუნდოვანებას იწვევს. ამიტომ თითოეულმა მათგანმა სიტყვათხმარებაში თავისი ადგილი უნდა დაიმკვიდროს. კერძოდ, **ტყუბი** კრებითი შინაარსის, ერთობლიობის გამოსახატავად უნდა იქნეს გამოყენებული, **ტყუბისცალი** კი — კონკრეტული სუბიექტის აღსანიშნავად.

3. **ტყუბ-** სიტყვის ხმარებასთან დაკავშირებით რამდენიმე სინტაქსური ხასიათის სინხლვ იჩენს თავს და ისინი ამ სიტყვის რიცხვის ფორმათა გამოყენებასთანაა დაკავშირებული.

სიტყვა **ტყუბი** სხვადასხვაგვარად იხმარება: ა) დამოუკიდებლად, ე. ი. საზღვრულ-მსაზღვრელური ურთიერთობის ჩვენების გარეშე (შეეხამება უშუალოდ ზმნას, მაგ.: **ტყუბი გააჩინა**); ბ) მსაზღვრელად (**ტყუბი ძმა**); გ) საზღვრულად (**ორი ტყუბი**).

ა) დამოუკიდებლად ხმარებისას — მხოლოდ ზმნასთან შეხამებისას — **ტყუბ-** სიტყვა, იმისდა მიხედვით, წინადადების რომელი წევრია, სხვადასხვა რიცხვით ფორმას ირჩევს. შდრ.: „**ტყუბი გააჩინა**“ (**ტყუბი** დამატება, მაგრამ: „**პყავს ტყუბები**“), „**ისინი ტყუბები არიან**“ (**ტყუბები** აქ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია და მრავლობითში დასმულ ქვემდებარეს რიცხვში ეთანხმება). „**მინდორზე გამოვიდნენ ტყუბები** — **რენე** და **ვილი ეან დე კერკაოლები**“ (**ტყუბები** ქვემდებარეა და მისი გამომხატველი საზოგადო სახელიც ერთგვაროვანი საკუთარი სახელებით განიმარტება).

ბ) მსაზღვრელის ფუნქციით **ტყუბის** გამოყენებისას მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით არაერთგვარი სურათი გვაქვს: საზღვრული ხან მხოლოდობითის ფორმით არის წარმოდგენილი, ხან კი — მრავლობითით: შდრ.: „**ტყუბი გოგო შეგეძინა**. **ღმერთმა გაგიზარდოს**. — **კიდევ ტყუბი გოგო?!**“ (ნ. დუმბ.); „**შესანიშნავად ასპარეზობენ ტყუბი ძმები** [უნდა იყოს: **ასპარეზობს ტყუ-**

პი ძმა] ანატოლი და სერგეი ბელოვლაზოვები“ („ლელო“); „...მიმინოშვილი არის ახალგაზრდა მეცნიერი, ჰყავს ტყუპი ბავშვები [სწორია: ბავშვი, უმჯობესია: ჰყავს ტყუპები]“ („ახ. კომ.“).

ამგვარი სიჭრელე დაუშვებელია: ტყუპ- მსაზღვრელთან, როგორც რიცხვის გამომხატველ სიტყვასთან, საზღვრული მხოლოობითში უნდა იდგეს. ამრიგად, სწორი ფორმებია: ტყუპი ძმა, ტყუპი შვილი და მისთ.

გ) საზღვრულად გამოყენებისას ტყუპ- სიტყვის ხმარებას დაბრკოლება არ ახლავს: რიცხვით სახელთან იგი მუდამ მხოლოობითში დგას და ამ მხრივ რაიმე მერყეობა არ შეინიშნება.

4. თავისებურია სიტყვა ტყუპისცალის საკითხი. ვინაიდან ცალ-სიტყვის მნიშვნელობა ტრადიციულ სიტყვათხმარებაში ჩამოყალიბდა როგორც ორიდან, წყვილიდან ერთისა, მისი მრავლობითში დასმა არ არის მიზანშეწონილი. ისეთი კონსტრუქციების ხმარება, როგორცაა — ისინი ტყუპისცალები არიან, — სასურველი არ არის: უმჯობესია, ეს სიტყვა ერთის აღსანიშნავად, ტყუპიდან ერთ-ერთის გამოსაყოფად იქნეს გამოყენებული, ვთქვათ, ასე: ნინო ტყუპისცალია (და არა: ნინო და არჩილი ტყუპისცალები არიან).

### უ

**უამბობს (უზნება) — მოუთხრობს — მოუხვება** „მეტყველება-წრის“ ზმნებია და ამბის ნეიტრალურ გადმოცემას აღნიშნავენ, ოღონდ უამბობს ისევე, როგორც უზნება, ამბის ზეპირ გადმოცემას გულისხმობს, მოუთხრობს კი — ძირითადად წერილობითს. შდრ.: „გორგი რომ შინ მივიდა, ყველაფერი უამბო დედას“ (ილია) და: „ერთ პატარა ლეგენდაში... ვაჟა-ფშაველა მოვითხრობს“ (გ. ქიქ.). ეს ნიუანსები განსაკუთრებით კარგად ჩანს ამ ზმნათა საწყისებში: მოყოლა, თქმა და მოთხრობა. ამ უკანასკნელმა ტერმინოლოგიური შინაარსიც მიიღო, იგი მცირე ფორმის სიუჟეტური ამბის წერილობით გადმოცემას აღნიშნავს.

აღნიშნული ნიუანსების გათვალისწინებით, ამბის წერილობითი გადმოცემის, მოთხრობის აღსანიშნავად შეუფერებლად უნდა ჩაითვალოს იამბობ ფორმის გამოყენება: „მაგრამ განა წერილში ყველაფერს იამბობ? („კომ.“). წერილით ამბავს გადასცემენ ვისმე, მოუთხრობენ, სიტყვიერად კი — უამბობენ.

მეორე მხრივ, ამბის ზეპირი გადმოცემისას უამბობს ფორმას უნდა მიეცეს უპირატესობა მოუთხრობს ფორმასთან შედარებით.